პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 171
(6482)

6
1979 წ.
სექტემბერი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპარტაკიადის ექო

უნივერსიადის ოლიმპიური მოტივები

მეხიკო. მექსიკის დედაქალაქში მიმდინარე უნივერსიადის შეჯიბრებები გამსჭვალულია ოლიმპიური სულისკვეთებით. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, ოლიმპიური მოტივები სპეციალისტების, სპორტსმენებისა და ჟურნალისტების საუბრებში.

სასტუმრო „ოიესტაში" მოწყობილ პრეს-ცენტრში მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოვალმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება საბჭოთა დედაქალაქი ამ უდიდესი შეჯიბრების ჩასატარებლად. მან აღნიშნა, რომ დღეისთვის 134 ქვეყნის 123 ეროვნულმა კომიტეტმა ამა თუ იმ ფორმით დაამტკიცა 1980 წლის თამაშებში მონაწილეობის სურვილი.

უდავოა, რომ ამჟამად მეხიკოში მოასპარეზე ბევრ სპორტსმენს შევხვდებით ოლიმპიადაზე მოსკოვში. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ოლიმპიური გუნდების შემადგენლობაში 60 პროცენტზე მეტი სტუდენტია. სტუდენტური თამაშების ჩემპიონებთან ინტერვიუში გვერდს ვერ აუვლი შეკითხვას ოლიმპიადის თაობაზე და ყველანი (და არა მხოლოდ ისინი) ოცნებობენ მოსკოვში გამოსვლაზე.

... სასიამოვნო სანახავი იყო, თუ როგორ ულოცავდნენ გუნდურ ტურნირში III ადგილზე გასულ აშშ-ის ტანმოვარჯიშე ქალებს (III, 750) საპატიო კვარცხლბეკის პირველ და მეორე საფეხურზე მყოფი სსრ კავშირისა (115,850) და რუმინეთის (115,750) სპორტსმენები.

საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონები წარუმატებლად გამოვიდნენ ძელზე ვარჯიშში და რუმინეთის გუნდი, რომელმაც ამ იარაღზე ზერთული ილეთები შეასრულა, წინ გავიდა. მაგრამ მ. ფილატოვამ (ლენინსკ-კუზნეცკი), ე. დავიდოვამ (ლენინგრადი), ს. გროზდოვამ (დონის როსტოვი) და ე. გურინამ (მოსკოვი) მაინც შეძლეს ერთი მეათედი ქულით გაესწროთ გუნდისთვის, რომელსაც სათავეში ედგა გამოცდილი ტ. უნგურიანუ.

თავის მხრივ, ამერიკელებმა ბევრისთვის მოულოდნელად შეძლეს ერთი მეათედი ქულით ჩამოეტოვებინათ იაპონიის ნაკრები.

პირად ჩათვლაში მრავალჭიდში წარმატება ხვდა რუმინელ სპორტსმენს უნგურიანუს (39,05). მან ძალზე თანაბრად იასპარეზა ყველა იარაღზე.

„უნივერსიადის ტურნირს ტანვარჯიშში ძნელია უწოდო ოლიმპიადისწინა შეჯიბრების ნიმუში, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა მეხიკო-68-ის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. პეტრიკმა (ახლა იგი საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორია), — სტუდენტური თამაშების მონაწილეთა ასაკი რეგლამენტირებულია, ხოლო ტანვარჯიშში სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც სულ უფრო ახალგაზრდა სპორტსმენებს იკრებს. მაგრამ გუნდების ლიდერებმა — ფილატოვამ და უნგურიანუმ საინტერესო პროგრამა აჩვენეს და დაამტკიცეს, რომ ისინი საუკეთესონი არიან მსოფლიოში.

3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში გაიმარჯვა 19 წლის ი. კალინინამ (461,95). მესამე ნახტომის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა და უნივერსიადა-77-ის გამარჯვებულმა ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია იგი.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ვ. ფლიუნტმა (1.05,45), რომელმაც ჩამოიტოვა ამერიკელი ჯ. ლინდბერგი (1.06,15) და თანამემამულე ვ. ტარასოვი (1.06,44). საცურაო პროგრამის ორ დანარჩენ სახეობაში წარმატება ხვდათ ამერიკელ სპორტსმენებს: ჯ. ალექსანდერს (200 მ. ბატერფლაით) და უ. ობრაიენს (200 მ. თავისუფალი სტილით). მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ჩემპიონი ს. რუსინი — 1.54,55. ალექსანდერმა და ობრაიენმა დაამყარეს უნივერსიადების ახალი რეკორდები.

რაპირისტების დავაში გაიმარჯვა წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ა. რომანკოვმა (მინსკი). კიეველი ვ. სმირნოვი II ადგილზე გავიდა. (საკდესი).

● კალათბურთი

მინიმალური სხვაობით

პოლონეთის ქალაქ ლოძში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში ვოლგოგრადის „დინამოს" გუნდმა მინიმალური სხვაობით — 68:69 წააგო ბუდაპეშტის „ვაშაშთან" და შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა.

არსება მისი გრძელია

...გასახდელისკენ მიმავალმა, ერთხელ კიდევ გაიხედა სახტომი სექტორისკენ, თვალი მოავლო სარბიელს, შემდეგ იქვე მდგარ იაკ უუდმიაეს გადაულაპარაკა რაღაც და ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ. ვიდრე გაუჩინარდებოდა, ტრიბუნაზე ტაში არ შეწყდარა. მაყურებელმა გულთბილად გააცილა ჩემპიონთა ჩემპიონი, გააცილა იმ იმედით, რომ ახლო მომავალში კვლავ იხილავს სარბიელზე...

საქვეყნოდ აღიარებული ათლეტისგან გულშემატკივრები მუდამ მაღალ შედეგს და გამარჯვებას მოითხოვენ. ბუნებრივია, თვით სპორტსმენიც ასეთივე სურვილით გამოდის საასპარეზოდ, მაგრამ სპორტი სპორტია და აქ მარცხისგან არავინ არის დაზღვეული. ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა იმ დღეს „თავისი ნახტომი" ვერ შეასრულა და სპარტაკიადის ჩემპიონის მესამე ოქროს მედალს ვერ დაეპატრონა. ჟურნალისტებმა, ყოველი გამოსვლის შემდეგ ჩვეულებრივ მოსვენებას რომ არ აძლევდნენ, ამჯერად მხოლოდ თვალი გააყოლეს. არავინ ცდილა დალაპარაკებოდა. მეტისმეტი მოკრძალება თუ ტაქტი? მოლაპარაკებულივით ყველამ ერთხმად გადაწყვიტა: დაე, კვლავ სახტომ სექტორზე თქვას თავისი სიტყვა! ეს იქნება ყველაზე ნაღდი პასუხი კითხვებზე, ბევრს რომ აუშალა საღერღელი, მაგრამ ხმამაღლა გაცხადება ვერავინ შეჰბედა...

• • •

ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამხტომელთა „ბ" ფინალური ჯგუფის მონაწილენი სარბიელზე გამოიძახეს, მაყურებელი ნელ-ნელა დაიძრა აღმოსავლეთ ტრიბუნისკენ. უკვე შემდეგ, სასპარტაკიადო მედლების „მაძიებლები" მოთელვაზე რომ გამოვიდნენ, ახლომახლო ცარიელი ადგილიც არ დარჩენილა. ფოტო და კინორეპორტიორთა ძირითადი ნაწილიც აქეთ „გადმოსახლდა". ბუნებრივია, როცა ახალგაზრდა, პერსპექტიულ სამხტომელთა მხარდამხარ სამი ოლიმპიადის გმირიც იბრძვის, ასპარეზობა გაცილებით მეტ ფასს იძენს, „ძვირად ფასობს" მედლებიც, რამდენიმე საათში უძლიერეს ათლეტთა საკუთრება რომ უნდა გახდეს. ამ დავამ ბევრ სხვა კითხვაზეც უნდა გასცეს პასუხი. სპარტაკიადა სპარტაკიადად, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადის კონტურებიც ნათლად გამოიკვეთა და ვინ უწყის, იქნებ დღევანდელი ტურნირის მონაწილე ერთი წლის შემდეგ ოლიმპიური თამაშების ლაურეატიც კი გახდეს.

თვით ვიქტორ სანეევის თქმისა არ იყოს, ახლა ჩვენს ქვეყანაში სამი თუ ოთხი პერსპექტიული სამხტომელი დაწინაურდა, რომლებიც უფრო და უფრო თამამად აცხადებენ თავიანთ პრეტენზიებს და შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებენ შედეგებს. დუელი გამოცდილებასა და ახალგაზრდობას შორის აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება და სასპარტაკიადო ტურნირიც ამის დასტური გახლდათ.

მოთელვა.

მეტოქენი თვალებით ზომავენ ერთმანეთს. ლობანოვი, უუდმიაე, კოვტუნოვი, ლისიჩონოკი, ვალიუკევიჩი, პისკულინი პირველ სასინჯ ხტომებს ასრულებენ. სად არის სანეევი? ბუნებრივია, მაყურებელიც და მხტომელებიც მრავალნაცადი სპორტსმენის გამოჩენას ელიან. როგორ ფორმაშია? შეინარჩუნა თუ არა ჩვეული სისწრაფე და სიძლიერე? წინა დღით, საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე ვიქტორმა მხოლოდ ერთხელ გაიელვა სახტომ სექტორზე, ზუსტად იქ დაეშვა, სადაც საკვალიფიკაციო ნორმატივის ზღვარი (16,40) იყო მინიშნებული და შემდეგ შორიდან მშვიდად ადევნებდა თვალს დანარჩენებს. მშვიდი ჩანდა მაშინაც, საქართველოს დელეგაციის ბანაკში ცნობისმოყვარეთა შორის რომ იდგა და გულახდილად საუბრობდა. მომავალ პაექრობაზე სიტყვა არ წამოსცდენია, თუმცა ქვეცნობიერად ალბათ კარს მომდგარი შეჯიბრების სიუჟეტს ხაზავდა. ვინ ვინ და სანეევმა მშვენივრად უწყის, რომ სასპარტაკიადო ტურნირზე ბრძოლა ყოველთვის უშეღავათოა, ამდენად, გამარჯვებაც უფრო საპატიო.

...ოთხი თუ ხუთი მსუბუქი გამორბენი, თავს ძალას არ ატანს. ვერც დაატანს — ეს-ესაა გამოიდარა და სველ ბილიკზე ნაოპერაციევი ფეხით ძველებურად ვერ გაინავარდებს. იმ ექვსი გადამწყვეტი ნახტომისთვის უნდა დაიზოგოს ძალები.

(დასასრული მე-3 გვ.).

●

სურათზე: ვიქტორ სანეევი.

HOCHSPRUNG FRAUEN
POSITION
15 GUSENBAUER AUT
22 / 1.71
POSITION
SANEEV, V
352

„დედოფალი" კვლავ გვესტუმრა

თბილისის „დინამოს" სტადიონი იწვევს მძლეოსნობის მოყვარულებს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი უკვე გასულ წელს ჩადგა ჩვენი ქვეყნის უდიდესი მძლეოსნური ცენტრების რიგში. შარშან აქ ორი დიდი ასპარეზობა გაიმართა. და აი, ახლა, როცა უკან დარჩა საკავშირო სპარტაკიადა, მსოფლიო და ევროპის თასების გათამაშებანი, „სპორტის დედოფალი" კვლავ თბილისს ესტუმრა: 9 სექტემბერს „დინამოს" სტადიონზე სტარტს აიღებს საკავშირო თასის გათამაშება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება.

სეზონის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ ტურნირში მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ ნახევარფინალებში გამარჯვებული გუნდები, რომელთა წევრების გარდა ძალებს სცდიან მეოთხედფინალური და ნახევარფინალური შეჯიბრებების მონაწილე სხვა უძლიერესი სპორტსმენები, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გამოჩენილი ათლეტები.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში 550-მდე მძლეოსანს მოელიან. ისინი ერთმანეთს შეეცილებიან მძლეოსნობის ოლიმპიურ სახეობებში. ასპარეზობები არ გაიმართება მხოლოდ მრავალჭიდსა და ესტაფეტებში.

საქართველოს დედაქალაქში მძლეოსანთა ეს დიდი შეჯიბრება უდავოდ ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას. ველით რეკორდებსაც.

ასპარეზობა 9 და 10 სექტემბერს 16 საათიდან დაიწყება.

სპორტი და ბიორიტმები

● სპეციალისტის ტრიბუნა

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე, პირველი ორთაბრძოლის წინ, მსოფლიო ჩემპიონი ვ. ბლაგიძე შეუძლოდ იყო. შეხვედრის შემდეგ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მომდევნო ორთაბრძოლის წინ ფსიქოლოგმა ვახტანგი ზუსტად 45 წუთი დააძინა. გამოძინებულმა და დამშვიდებულმა მსოფლიო ჩემპიონმა მომდევნო შეხვედრები მართლაც რომ დიდი ალმავლობით ჩაატარა. ამ ამბის შემდეგ ზოგიერთმა მწვრთნელმა შეჯიბრების წინ სხვა სპორტსმენების დაძინებაც კატეგორიულად მოითხოვა.

დიდი ასპარეზობის წინ სპორტსმენის დაწყნარება-დამშვიდება რომ აუცილებელია, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ის, რაც ერთისთვის კარგია, მეორესთვის შეიძლება საზიანო იყოს...

რაშია საქმე, რა ძალები მოქმედებენ ჩვენს გუნება-განწყობაზე, ფიზიკურ შესაძლებლობაზე, ფსიქიკაზე და ემოციებზე?

საუკუნეების განმავლობაში ევოლუციური განვითარების შედეგად ცოცხალ ორგანიზმს გამოუმუშავდა ე. წ. ბიოლოგიური საათი, რომელიც ასტრონომიული სიზუსტით აღნუსხავს ყველა ფიზიოლოგიური პროცესის რიტმს. და მართლაც: ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, გულის მუშაობა, კუჭის წვენის გამოყოფა, დაძინება-გაღვიძება გარკვეული რიტმით არ ხდება?

ამავე დროს, დღე-ღამის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში მთელი რიგი ცვლილებები ხდება: იცვლება ტემპერატურა, არტერიული წნევა, სისხლის მიმოქცევა, კუნთების ელასტიურობა და სხვა. ამ ურთულეს პროცესებს ჩვენს ორგანიზმში მოთავსებული ბიოლოგიური რიტმები განაგებენ, რომელთა მამოძრავებელ მექანიზმს ადამიანის ბიოლოგიური საათი (ზოგი მას „ცოცხალ“ საათს უწოდებს) წარმოადგენს.

ადამიანის უამრავ ბიორიტმებს შორის 3 ძირითადს გამოყოფენ: ფიზიკურს, ემოციურსა და ინტელექტუალურს, რომელთა ხანგრძლივობა შესაბამისად 23, 28 და 33-დღიანი ციკლით განისაზღვრება. თითოეული ამ ციკლის პირველი ნახევარი დადებით ფაზად ითვლება. ამ პერიოდში მთელი სიგრძე-სიგანით მჟღავნდება ადამიანის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი. უმაღლესი სპორტული შედეგებიც სწორედ ამ დროსაა მოსალოდნელი.

საკუთარი ბიოლოგიური ციკლის გამოთვლა არ არის რთული. უნდა ავიღოთ ამა თუ იმ პირის დაბადებიდან ნაცხოვრებ დღეთა მთლიანი რაოდენობა იმ თვის პირველ რიცხვამდე, რომელი თვეც გვაინტერესებს (ნაკიანი წლების დღეთა დამატებით). მიღებული ციფრი უნდა გავყოთ შესაბამისად 23-ზე, 29-ზე ან 33-ზე, იმის მიხედვით, თუ რომელი ციკლი გვაინტერესებს — ფიზიკური, ემოციური თუ ინტელექტუალური. გაყოფის შემდეგ ნაშთის სახით მიღებული ციფრი ამა თუ იმ ციკლის დაწყების დღედ მიიჩნევა. მაგალითად, თუ ფიზიკური ციკლის გამოანგარიშებისას (ე. ი. 23-ზე გაყოფის შედეგად) მივიღეთ რიცხვი 13, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსაანგარიშებელი თვის 13 რიცხვზე მოდის სპორტსმენის დადებითი ციკლის პირველი დღე და აღმავალი ფაზა გრძელდება 11,5 დღეს (ე. ი. 23-ის ნახევარი).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დადებითიდან უარყოფითზე და პირიქით — უარყოფითიდან დადებით პერიოდზე გადასვლის დღე ყველაზე კრიტიკულია და მას ნულოვანს უწოდებენ. ამ დღეს (ზოგჯერ ორ დღესაც) ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური, ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი საგრძნობლად ქვეითდება.

იაპონელი მეცნიერები ელექტროგამომთვლელი მანქანების მეშვეობით სპეციალურად სწავლობენ მძღოლების, მფრინავების, ოპერატორების, ქირურგების და სხვა პროფესიის ადამიანების ბიოლოგიურ რიტმს და კრიტიკულ დღეებში მათ სპეციალურ გამაფრთხილებელ ბარათს გადასცემენ, ან საერთოდ უკრძალავენ ფრენას, საჭესთან ჯდომას, ოპერაციის ჩატარებას და სხვ.

არჩევენ დღიურ, კვირეულ და თვიურ რიტმებს. გამოანგარიშებულია დღიური ციკლების აღმავალი და დაღმავალი პერიოდები. დილის 9 საათიდან 13 საათამდე, ხოლო შემდეგ 16-დან 18 საათამდე მაქსიმალური შრომითი აქტივობის პერიოდადაა მიჩნეული. სხვა დანარჩენ დროს კი ნაკლებად აქტიურ შრომით პერიოდს მიაკუთვნებენ. მინიმალური აქტივობის პერიოდად ითვლება საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე.

საკუთარი ბიორიტმების ცოდნა აუცილებელია სპორტსმენებისთვის, რომლებსაც ხშირად უხდებათ ადგილსამყოფელის გამოცვლა და ახალ, უჩვეულო პირობებთან სწრაფი შეგუება. კრიტიკული დღეების ცოდნა საშუალებას მოგვცემს სხვა ფაქტორების გათვალისწინებით წინასწარ სწორად დავგეგმოთ ჩვენი სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და შეჯიბრებები. ხშირად სწორედ საკუთარი ბიორიტმების არცოდნაა მიზეზი (რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად), რომ საუკეთესოდ მომზადებული სპორტსმენი ახალბედას ემსგავსება და შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალ შედეგს აჩვენებს.

კვირეული რიტმი განსხვავდება დღიურისაგან, თუმცა შრომის დინამიკა აქაც ცვალებადია. შრომისუნარიანობა კლებულობს პარასკევისთვის და ოპტიმალურს აღწევს სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს.

ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ აქ გარკვეულ როლს ფსიქოლოგიური ფაქტორიც თამაშობს. კვირის სამუშაო და უქმე დღეებად დაყოფა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ბიბლიური ხანიდან იღებს, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ფსიქიკაზე და შრომისუნარიანობაზე. შრომითი პროცესების დაგეგმვისას კვირეული ციკლის თავისებურებას კარგად იყენებენ მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

თვიური რიტმი, ასე ვთქვათ, ბუნებრივი ციკლია. მეცნიერები მას დედამიწის ღერძის გარშემო ტრიალს უკავშირებენ. თვიური რიტმი საკმაოდ რთული პროცესია. გამოანგარიშებულია, რომ თვიური რიტმის ბოლო პერიოდი მამაკაცებში სპორტული შედეგების ერთგვარი ზრდით აღინიშნება. ამავე დროს, ქალის ორგანიზმში მომხდარ ყოველთვიურ ფიზიოლოგიურ ძვრებს დროებითი დეპრესია, გაღიზიანება, გამძლეობისა და შესაბამისად სპორტული შედეგების დაქვეითება მოსდევს. ამ ფაქტორს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა.

ყურადსაღებია ე. წ. სეზონური ბიორიტმებიც. გამოანგარიშებულია, რომ სპრინტერები სპორტული შედეგების პიკს გაზაფხულზე აღწევენ, შემდეგ ეს მაჩვენებლები ეცემა, შემოდგომისთვის კი უმნიშვნელოდ მატულობს. ნიშანდობლივია, რომ მოცურავენი დილით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ხოლო სპორტის ისეთ სახეობათა წარმომადგენლები, სადაც მოძრაობის ზუსტი კოორდინაციაა საჭირო, საღამოს შედეგებით გამოირჩევიან. მძლეოსნები უკეთეს შედეგს დღის მეორე ნახევარში უჩვენებენ.

შესწავლილია სპორტული შედეგების ზრდის ციკლიც. მაგალითად მამაკაცებში 3-წლიანი ციკლია შემჩნეული, ხოლო ქალებში ორწლიანი. ამ ციკლთა შორის მამაკაცებში პირველი ნახევარია აღმავალი, ქალებში — მეორე.

ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ადამიანთა 20-25 პროცენტს ე. წ. „ტოროლას“ ტიპს მიაკუთვნებენ. მათთვის დამახასიათებელია ადრე გაღვიძება, დილიდანვე კარგი განწყობა და მაღალი შრომისუნარიანობა. 30 პროცენტს ე. წ. „ბუს“ კატეგორიად თვლიან. მათთვის დამახასიათებელია გვიან დაწოლა, გვიან ადგომა, გაღვიძების შემდეგ შრომით საქმიანობაზე ძნელად გადართვა. დანარჩენებს საერთოდ არიტმულებს უწოდებენ, ისინი შედარებით ადვილად ეგუებიან ნებისმიერ გარემოს.

რა თქმა უნდა, მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია ადამიანის ბიოლოგიური რიტმის მთლიანი დახასიათება, მაგრამ ერთი რამ უდავოა: სპორტსმენის ბიორიტმების თავისებურებათა ცოდნა აუცილებელია.

გამოცდილმა სპორტსმენებმა კარგად იციან, თუ რა ძნელია ძილმღვიძარობის პრობლემის გადაჭრა ამა თუ იმ ქალაქში ან ქვეყანაში ჩასვლისას. შეგუების (ადაპტაციის) პერიოდი ხშირად ერთ-ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება. შეჯიბრება შეიძლება ისე დამთავრდეს, რომ სპორტსმენმა შეგუება ვერ მოასწროს. გამოდის, რომ სპორტსმენს ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად სხვა მრავალი პრობლემაც აქვს გადასაწყვეტი.

სწორედ ამიტომ სპორტსმენის ორგანიზმის ბიორიტმების, მისი დადებითი და უარყოფითი პერიოდების, კრიტიკული ფაზების, ფიზიკური, ფსიქიკური და მორალურ-ნებელობითი თავისებურებების ცოდნა შესაძლებლობას მოგვცემს წინასწარ დავგეგმოთ და სწორად წარვმართოთ სპორტსმენის სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და მისი მზადყოფნის პიკი დავამთხვიოთ ზუსტად იმ პერიოდს, როდესაც ეს ყველაზე მეტადაა საჭირო. სპორტში კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

გ. ყირმელაშვილი,

დოცენტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

წესრიგთან ერთად — ჰიგიენაც

ფეხბურთის მატჩები ჩვენში დიდ ინტერესს იწვევს, ამიტომ მაყურებლები ხალისით მოდიან თამაშებზე. ბევრი რამ დაიწერა სტადიონებზე წესრიგის დაცვის თაობაზე, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ჰიგიენაზე, რომელიც სპორტულ ბაზაზე მოსულმა გულშემატკივრებმა უნდა დაიცვან. გასაგებია ფეხბურთის მოყვარულთა ემოციები, მაყურებელმა შეიძლება იკამათოს, გამოთქვას თავისი გრძნობები, ამავე დროს გაგრილდეს ნაყინით, მაგრამ ხომ შეიძლება ნარჩენები ისეთ ადგილას მოათავსოს, რომ ეს არ იყოს ყველასათვის თვალში მოსახვედრი? წარმოიდგინეთ, რამდენი ათასი ადამიანი ზის ქაღალდებზე, გაზეთებზე და ყველაფერი ეს მატჩის დამთავრების შემდეგ უწესრიგოდაა დაყრილი ტრიბუნებზე. ხომ შეიძლება აიღო გაზეთი, დაკეცო და გამოიტანო ტრიბუნებიდან? ყოველი მატჩის შემდეგ სტადიონებზე სუფევს ანტისანიტარია, ერთმანეთში ათქვეფილია მზესუმზირის ჩენჩო, ნაყინისა და ტკბილეულის ნარჩენები, პაპიროსის ნამწვი, ქაღალდის ზვინები.

სწორად დაწერა ამას წინათ გაზეთ „იზვესტიაში“ მოსკოველმა ექიმმა ლ. ამელკინმა: „სტადიონზე დავდივართ, რომ ვისუნთქოთ და არა იმიტომ, რომ სული გვეხუთებოდეს“. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თამბაქოს არ ეწევიან თეატრში, ესტრადაზე, სპორტის სასახლეში, ფეხბურთის მატჩების დროს კი სტადიონზე თამბაქოს კვამლის ღრუბლებია. ზიხარ და ყელში გადაგდის ეს შხამი.

აღნიშნულ წერილს პირველი გამოეხმაურა ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის დირექცია, რომელიც მხარს უჭერს იმას, რომ ფეხბურთის მატჩებზე და სხვა ღონისძიებებზე არ უნდა ვეწეოდეთ პაპიროსს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აკადემიკოსი პეტროვსკი აღნიშნავს, რომ ე. წ. „პასიური მწეველები“, რომლებიც ნამდვილ მწეველთა გვერდით იმყოფებიან, ხშირად უფრო მეტად იწამლებიან, განსაკუთრებით ბავშვები და ქალები, რომელთა ორგანიზმზე თამბაქო გამანადგურებელ გავლენას ახდენს. წარმოიდგინეთ, რამდენი ათასი მოზარდი ესწრება ფეხბურთის მატჩებს და იძულებულია ყლაპოს ეს შხამი.

ჩვენს სტადიონებზე ჰიგიენური ნორმების დაცვა უპირველეს ყოვლისა თვით მაყურებლების საქმეა.

პ. ფიფია.

ფიზკულტურა — ჯანმრთელობისა და შრომის სამსახურში

სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში მოპოვებულმა წარმატებებმა თანდათან შორს გაუთქვეს სახელი თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურულ ორგანიზაციას. მის სპორტულ კლუბს „უშბა“ უწოდეს და სიმბოლურიცაა: ამ კოლექტივის ერთიანი, მტკიცე ანსამბლი, მისი მიღწევები, რესპუბლიკის სხვა სპორტკლუბებს შორის მას ახლა სწორედ უშბასავით წარმოაჩენს.

აქაური სპორტსმენების წარმატებებზე ახლა არ ვილაპარაკებთ. იგი ისეც ცნობილია, ვიტყვით მხოლოდ, რომ „უშბა“ „განთიადის“ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის ყველა მაჩვენებლის მიხედვით მოწინავეთაგანია და აგერ მერამდენე წელია ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს. დღეს განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა შევჩერდეთ საწარმოო გაერთიანებაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალ დონეზე. იგი აქ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სპორტული მწვერვალების დაპყრობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს. სწორედ აქედან, მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობიდან იღებს სათავეს საწარმოო გაერთიანების ფეხბურთელების, კალათბურთელების, ფრენბურთელების, მოჭიდავეების და სხვათა წარმატებანი.

ჰკითხეთ გაერთიანების რომელიც გნებავთ თანამშრომელს და ყველა გიპასუხებთ, რომ მათი შრომითი წარმატებები საწარმოო ტანვარჯიშმა, ტურისტულმა ლაშქრობებმა, ზოგად-გამაჯანსაღებელი ჯგუფების ნაყოფიერმა საქმიანობამ განაპირობა. ახლა აქ არც ერთი ფიზკულტურელი, არც ერთი სპორტსმენი არ არის, ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით რომ არ ასრულებდეს.

— ჩვენი კოლექტივი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ამავე დროს მრავალეროვანია. აქ ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები... მუშა, სპორტის ოსტატი სამბოში გ. ცეცაძე, ზეინკალ-ამწყობი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ზ. ჯაფარიძე, ბრიგადირი, ფეხბურთელი ო. ქობულოვი, ელექტრომემანქანე, ფრენბურთელი ე. ალექსეენკო, მეგემავი-ინჟინერი, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ო. კარპუხოვა და სხვანი საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ თანამოსაქმეებს,— გვეუბნება ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი უ. მოსაშვილი.

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი თბილისში სამაგალითოა, როგორც საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის, ისე სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მშრომელთა მასობრივად ჩაბმის თვალსაზრისით. საწარმოს საამქროებში ყოველდღე ორჯერ ტარდება ფიზკულტურული შესვენებები. მასში ათასობით კაცი მონაწილეობს.

პირველ სურათზე თქვენ სწორედ საწარმოო ტანვარჯიშის მომენტს ხედავთ გაერთიანების ერთ-ერთ საამქროში.

აქ თითქმის ყოველ პარასკევს დგება ჯგუფები, თანაც არა ერთი და ორი, რომლებიც ერთ ან ორდღიან ტურისტულ ლაშქრობებს აწყობენ. კოჯორი, კიკეთი, წყნეთი, ბეთანია და სხვა ადგილები მათი ლაშქრობის, ბუნების წიაღში დასვენების მთავარი პუნქტებია. **მეორე ფოტოზე** აღბეჭდილია ის მომენტი, როცა საწარმოოს ერთი ასეთი ჯგუფი მორიგ ლაშქრობას ატარებს. **მესამე ფოტო** მოგვითხრობს ტურისტულ ბანაკში უშბელთა ცხოვრების ერთ მომენტზე. ახალმა გაზეთმა ბევრი დააინტერესა.

ლ. გელაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა





კიდევ ერთი აღიარება

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ნ. სალაძის კიდევ ორი აღზრდილი მიიწვიეს სსრ კავშირის ნაკრებში, ამჯერად ახალგაზრდულში — ი. ჟემჩუჟინა და მ. ნადიბაიძე. ისინი ამჟამად წვრთნას გადიან ეშერაში სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ვ. ბატაენის ხელმძღვანელობით და ემზადებიან ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის — „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობისა და ბულგარეთ — სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრისთვის (ორივე ღონისძიების გამართვა დაგეგმილია თბილისში).

სურათებზე: ი. ჟემჩუჟინა და მ. ნადიბაიძე.

ა. საკოვის ფოტოები.

არსება მისი გრძელია

დასასრული

მოხდა ისე, რომ მთავარი ფინალის სტარტზე თითქმის ერთდროულად გამოვიდა ჩვენი მძლეოსნობის ორი ლიდერი — ვიქტორ სანეევი და საიდა გუნბა. შუბის მტყორცნელი ქალები 20-25 წუთით ადრე ჩაებნენ ასპარეზობაში. ლუჟნიკის სტადიონს უკვე გადაუარა გუნბას მიერ პირველსავე ცდაზე ნაჩვენები შედეგით გამოწვეული ოვაციის ექომ, უკვე შემდეგ, როცა საიდას სპარტაკიადის ოქროს მედალს გადასცემენ, მწვრთნელი ილია გიგაური იტყვის, რომ ეს წინასწარ მოფიქრებული ტაქტიკური სვლა იყო—სპორტსმენს პირველსავე ცდაზე უნდა შეესრულებინა გადამწყვეტი ტყორცნა. როცა შუბმა 63,08 მეტრზე იფრინა, უკვე იმას ნიშნავდა, რომ დავალება შესრულებული იყო. როცა საიდამ ყველა ტყორცნა შეასრულა, ტრიბუნაზე ავიდა და მწვრთნელს მორიდებით ჩამოართვა ხელი. გამარჯვების სიხარული ცოტა ხნით გადაიდო. გულშემატკივრებმაც დროებით მოთოკეს ემოციები, ვინ იცის რა მოხდება; პანამერიკული თამაშების ჩემპიონი კუბელი კარიდა კოლონი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი უტე ჰომოლა (გდრ) ბოლო ცდისთვის ემზადებიან. კოლონმა გამორბენის ზონას გადააბიჯა და ტყორცნა არ ჩაეთვალა, იგივე ბედი ეწვია ჰომოლასაც. საიდა გუნბა ხელში აიტაცეს თანაგუნდელებმა...

სამხტომელთა შეჯიბრების უვერტიურაც ანალოგიური გამოდგა. იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონმა, მინსკელმა გენადი ვალიუკევიჩმა პირველსავე ცდაზე 17,21 მეტრი აჩვენა. ჩინებული შედეგია! მოკრივეთა ენით თუ ვიტყვით, ეს იგივეა, პირველივე დარტყმით ნოკდაუნი რომ აგემო მეტოქეს.

— ვალიუკევიჩს ოქროს მედალი ჯიბეში აქვს! — ხმამაღლა წამოიძახა ვიღაცამ.

— სანეევი, სანეევი რატომ გავიწყდებათ? — გაისმა აქეთ-იქიდან.

ვიქტორს პირველი ცდის შემდეგ მეორე შედეგი ჰქონდა — 16,27. დანარჩენმა ფავორიტებმა 16-მეტრიანი ზღვარიც ვერ გადალახეს.

მეორე ცდა. უუდმიაე — 16,77, სანეევი — 16,40, კოვტუნოვი — 16,41, ლისიჩონკი—16,36, პისკულინი — 16,41. ვალიუკევიჩი 16,71 მეტრზე დაეშვა და კოჭლობით წავიდა სკამისკენ. ძნელი სათქმელია, სერიოზულად დაშავდა ბელორუსი სპორტსმენი თუ მაყურებელს აუხვია თვალი, (რა ვქნა, ტრავმა მივიღე და მეტს ვერ გადავხტებიო). ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ოთხი ცდიდან ვალიუკევიჩმა ორი გამოტოვა, ორი კი ისე, სხვათა შორის გაირბინა.

ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა საქმე, ვინმეს რომ გაეუმჯობესებინა ვალიუკევიჩის შედეგი, მაგრამ ვერც უუდმიაემ (საუკეთესო შედეგი 16,84), ვერც პისკულინმა (16,76) და ლისიჩონკმა (16,38) ვერ გადალახეს 17-მეტრიანი ზღვარი.

სანეევი, რას ფიქრობდა სანეევი? მრავალბრძოლაგადახდილ სპორტსმენს აბა რით გააკვირვებ. ჩვეულ სპორტულ ფორმაში რომ ყოფილიყო, ვიქტორი უმაღლესი ხარისხის მედალსაც დაითავისებდა, მაგრამ ამჯერად ახალგაზრდობამ იმარჯვა და სანეევმა პირველმა მოულოცა მათ წარმატება. ჭეშმარიტმა სპორტსმენმა, ორ ათეულამდე წელიწადი სახტომ სექტორთან რომ გაატარა, გამარჯვების ფასიც იცის და მარცხსაც ვაჟკაცურად ეგუება, მით უმეტეს, თუ ეს მარცხი რამდენიმე უსათუოდ ანგარიშგასაწევმა სუბიექტურმა მიზეზმა განაპირობა. და თუ ცოტა ვინმეს დარჩა უკმარობის გრძნობა იმ მეხუთე ადგილით, ვიქტორმა სპარტაკიადაზე რომ მოიპოვა, ეს იმიტომ, რომ იგი კვლავ მწყობრშია და კვლავ დიდი სპორტით ცხოვრობს.

მრავლისმეტყველია ისიც, რომ სპარტაკიადამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალისტთა კითხვებზე, რას წარმოადგენს ამჟამად თქვენთვის სპორტიო, ვიქტორმა უპასუხა: „ჩემთვის სპორტს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დასაწყისში ჰქონდა: იგი უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან მიყვარს ბატალიები, სადაც მუდამ გამარჯვებისთვის ვიბრძვი, მაგრამ შესაძლოა ყველა ახალი გამარჯვება ერთობ ძვირად მიჯდება, რადგან მე უკვე ახალგაზრდა აღარა ვარ".

იგი ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ. ვიდრე გაუჩინარდებოდა, ტრიბუნაზე ოვაცია არ შემწყდარა. მაყურებელმა გულთბილად გააცილა ჩემპიონთა ჩემპიონი, გააცილა იმ იმედით, რომ ხვალ და ზეგ კვლავ იხილავს სარბიელზე.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი—თბილისი.

რუსთავ-თბილისის გზატკეცილის 21-ე კილომეტრზე

შაბათსა და კვირას რუსთავში, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ ბაზაზე გაიმართება საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში სსრ კავშირის 30-ე ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის სპორტის ტექნიკური სახეობების შეჯიბრების პროგრამაშიც შედის.

მაყურებლები საინტერესო ბრძოლების მოწმენი იქნებიან. ისინი იხილავენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენებით დაკომპლექტებული ნაკრები გუნდების, აგრეთვე პირად ტურნირში მონაწილეთა ოსტატობას.

ამ ფინალურ ასპარეზობაში შემოწმდება წინა სპარტაკიადის შემდეგ განვლილ პერიოდში დოსააფისა და სხვა ორგანიზაციების სპორტულ-ტექნიკური კლუბების, ჯგუფების, სექციების მიერ გაწეული მუშაობა.

ტურნირები ყოველდღე 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. კვირას ასპარეზობის დამთავრებისთანავე გაიმართება უძლიერესთა დაჯილდოება და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ორ-ორი მედალი ელით — ქვეყნის ჩემპიონატისა და VII სპარტაკიადისა.

1:0

გუშინ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა ი. გავრილოვმა.



გამარჯვება უშუალო მეტოქესთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0 (1:0).

„ტორპედო": მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მელიქია, ზ. სვანაძე, გვაძაბია, ბურკაძე, გორგოძე, კვერნაძე (მხატვარი), ებანოიძე (თ. სვანაძე), გაბიჩვაძე (ფარულავა).

„ჟალგირისი": იურკუსი, პაბრიაუსი, ლატოუა, გედგაუსკასი, იანონისი, კრომანი (ჟარკოვი), დანისიავიჩუსი (კრუპიავიჩუსი), მაცკევიაჩუსი, რიაბოვი, იურგელევიჩი, ხირმეკისი.

მსაჯი ი. ხავჩენკო (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

ვილნიუსელთა გუნდი ამ ტურისთვის ქუთაისის ტორპედოელთა უშუალო მეტოქეს წარმოადგენდა, ვინაიდან იგი სულ რამდენიმე ადგილით უსწრებდა მათ გათამაშების ცხრილში და მატჩის მოგების შემთხვევაში მასპინძლები წინ წასულ მეტოქეს მინიმალური სხვაობით უახლოვდებოდნენ. ამიტომ მოსალოდნელი იყო უშეღავათო, დაძაბული ბრძოლა, ამას გარდა, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე „ჟალგირისმა" დიდ წარმატებას მიაღწია, ლიტველმა მოთამაშეებმა ოსტატთა წოდებები მოიხვეჭეს და საკავშირო გათამაშების მატჩებს საგანგებო მონდომებით ატარებენ.

სტუმრებმა სწრაფად, ტემპიანად დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებზე ზედიზედ რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელეს. ამ პერიოდში ტორპედოელთა დაცვას დიდი ჯაფა დაადგა, საუკეთესოდ ითამაშა მეკარე მჭედლიძემ, ვილნიუსელთა რამდენიმე დარტყმა აცდა მიზანს.

ასეთი დასაწყისის შემდეგ ქუთაისელებმა თანდათან, მეთოდურად გადაიტანეს თამაში წინ, შემდეგ კი გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გაბიჩვაძესა და ბურკაძეს.

მიმდინარეობდა 38-ე წუთი, როცა მასპინძლებმა მიაღწიეს წარმატებას და გაიტანეს ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. გაბიჩვაძის მიერ წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ებანოიძემ — 1:0.

მეორე ტაიმი „ჟალგირისმა" კვლავ სწრაფი იერიშებით წამოიწყო, მაგრამ მასპინძლები მზადყოფნაში შეხვდნენ მოწინააღმდეგის ამ შტურმს. მცირე ხნის შემდეგ თამაში კვლავ გათანაბრდა, რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა იურკუსს და მიუხედავად ორივე გუნდის მრავალი ცდისა, ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორპედოში" ამ დღეს მინდორზე მთელი მატჩის მსვლელობაში იმყოფებოდნენ გვაძაბია და გორგოძე, რომლებმაც კვალიფიციური თამაში აჩვენეს.

კ. ხურციძე.
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — ასკ (ოდესა) 2:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კარპატი" (ლვოვი) 0:1, „თერგი" (გროზნო) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 3:1, „ალგა" (ფრუნზე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:1, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ზვეზდა" (პერმი) 3:1, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ტრაქტორი" (პავლოდარი) 4:0.

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კარპატი"	30	19	7	4	57—24	45
„შინიკი"	31	16	9	6	34—19	41
„ყუბანი"	31	14	9	8	44—30	37
„ფაკელი"	30	15	6	9	47—33	36
„ურალმ."	31	15	6	10	39—28	36
„პამირი"	31	15	5	11	37—38	35
„ნისტრუ"	31	11	12	8	31—28	34
„ჟალგირ."	30	12	9	9	36—29	33
„დნეპრი"	31	11	11	9	36—35	33
„კუზბასი"	31	13	6	12	37—35	32
„ტორპედო"	31	11	10	10	32—31	32
„სპარ." ორ.	31	14	3	14	38—33	31
ასკ ოდ.	31	11	8	12	35—33	30
„ტავრია"	31	11	7	13	35—41	29
„მეტალის."	31	11	7	13	23—33	29
„სპარ. ი.-ფ.	30	11	6	13	27—36	28
„დინ." ლ.	31	11	5	15	41—37	27
„მეტალურ."	31	10	7	14	48—48	27
„თერგი"	31	10	7	14	35—41	27
„სპარტ." ნ.	31	10	7	14	30—34	27
„ზვეზდა"	31	9	7	15	28—38	25
„ტრაქტორი"	31	8	8	15	21—39	24
„ალგა"	31	7	7	17	24—49	21
„კოლხოზჩი"	31	6	9	16	27—50	21



„მთები და ადამიანები“

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია კვლავ აცხადებს საერთაშორისო ფოტო-კინო კონკურსს დევიზით „მთები და ადამიანები“, რომელიც საიუბილეო, მე-10 იქნება.

კონკურსის მიზანია მთამსვლელობის, მეკლდეურობისა და სამთო ტურიზმის პოპულარიზაცია, აგრეთვე, ალპინისტთა და მოგზაურთა შორის ფოტო-კინო ხელოვნების დანერგვა, საუკეთესო ნამუშევართა გამოფენა და პუბლიკაცია მოეწყობა საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფოტო-კინო მოყვარულს. ნამუშევრებში ასახული უნდა იყოს მთამსვლელთა, მეკლდეურთა და სამთო ტურისტთა ყოფა-ცხოვრება; მთის პეიზაჟები, ასვლების ტექნიკურად რთული მონაკვეთები, მარშრუტები, ცალკეული ქედები, მწვერვალები, მყინვარები, ხეობები.

...მაღალმთიანი რაიონების ყოფა-ცხოვრება, ახალი მშენებლობები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეთნოგრაფია, ფლორა, ფაუნა და სხვა.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იყოს: ფოტოსურათები (ფერადი ან შავთეთრი) ზომით 30X40 სმ., აგრეთვე, საკონტროლო ეგზემპლიარი ზომით 18X24 სმ. ყოველ ფოტოსურათს უნდა ჰქონდეს სახელწოდება.

კინოფილმები უნდა შესდგებოდეს არა უმეტეს ორი ნაწილისაგან (20 წუთამდე) როგორც ვიწრო (8 და 16 მმ), ისე (35 მმ) ფართო ფირებით.

კონკურსზე მიიღება ფერადი დიაპოზიტივებიც (სლაიდები).

ნამუშევრებზე მიუთითეთ ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და პროფესია.

ფოტო-კინო კონკურსზე დაწესებულია პრემიები:

ფოტოსურათებისთვის: ერთი დიდი პრიზი, ორი პირველი პრემია, სამი მეორე პრემია, ოთხი მესამე პრემია, ოთხი მეოთხე პრემია.

კინოფილმებისთვის: ორი პირველი პრემია, ორი მეორე პრემია, ერთი მესამე პრემია.

დიაპოზიტივებისთვის: ერთი პირველი პრემია, ორი მეორე პრემია, ორი მესამე პრემია.

კონკურსზე დაწესებულია, აგრეთვე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და სხვათა სპეციალური პრიზები.

საკონკურსო მასალები გამოგზავნეთ საქართველოს ალპურ კლუბში 1979 წლის 1 დეკემბრამდე მისამართით: **თბილისი, ლენინის ქ. № 37. ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი.**

კონკურსთან დაკავშირებით ყოველგვარი ცნობებისთვის დარეკეთ 93-17-63.

ფინალში: სსრ კავშირი — არგენტინა

იაპონიის დედაქალაქში დასასრულს მიუახლოვდა იუნიორ ფეხბურთელთა II მსოფლიო ჩემპიონატი.

4 სექტემბერს გაიმართა გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელთა შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან. მისი ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც პონომარიოვმა გაიტანა მეტოქის კარში 49-ე წუთზე.

ასევე შეუპოვარი იყო არგენტინისა და ურუგვაის გუნდების ნახევარფინალური მატჩი. არგენტინელებმა დიასმა და მარადონამ მეორე ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს ურუგვაელთა კარში და გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართება დღეს სსრ კავშირისა და არგენტინის გუნდებს შორის.

● ფეხბურთი

II ლიგა

4 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 5:0

მატჩის დასაწყისი თითქოს არ მოასწავებდა ბაქოელთა დამარცხებას ასეთი დიდი ანგარიშით. მათ აქტიური იერიშები განავითარეს და პირველი 10 წუთის მანძილზე საკმაოდ სახიფათო მომენტები შექმნეს მოპირდაპირე კართან, მაგრამ საკმარისი იყო ლოკომოტიველთა პირველივე შტურმი და მე-12 წუთზე დარჯანიამ საჯარიმო დარტყმით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბაქოელთა კარში — 1:0.

ამას მოჰყვა სამტრედიელთა განუწყვეტელი იერიში. ჯერ ძაგნიძემ გაიტანა ბურთი, მერე ქორიძემ გამოიყენა პენალტი, ხოლო ტაიმის დამთავრებამდე ვოლკოვმა და დარჯანიამ კიდევ ორჯერ აიძულეს სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 5:0.

ა. სირაძე.

„დილა“ (გორი) — „არაბკირი“ (ერევანი) 3:0

მატჩის დასაწყისი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, თუმცა ინიციატივა მეტწილად გორელებს ეპყრათ. ამ უპირატესობას მალე გოლიც მოჰყვა, რომელიც ახალკაცისა და მელაძის კომბინაციის შედეგს წარმოადგენდა — 1:0.

გატანილმა გოლმა მეტი დამაჯერებლობა შეიტანა „დილის“ თამაშში, დიდი დატვირთვით მუშაობდა სტუმართა დაცვა. 32-ე წუთზე ერევნელთა საჯარიმო მოედანზე ერთ-ერთმა მცველმა ხელით შეაჩერა ბურთი, რისთვისაც კრასნოდარელმა მსაჯმა რიაბკომ პენალტი დანიშნა. რამიშვილმა ზუსტად შეასრულა დარტყმა — 2:0.

შესვენების შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთ-ერთი შეტევის დროს კი ხუცურაულმა მესამედ აიღო „არაბკირის“ კარი და მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

ი. თევდორაშვილი.

„კოლხეთი“ (ფოთი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:0

კიროვაბადელებმა ქულის აღება სცადეს ფოთში და საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვითი რიგები, ხოლო „კოლხეთი“ დაწყებიდანვე უტევდა. 26-ე წუთზე ქორიძის დარტყმა მოიგერია ძელმა, უკუგდებულ ბურთს პირველმა მიუსწრო სანაიამ და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა ქორიძემ გაზარდა ანგარიში, შემდეგ მეშკოვის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა გვალიამ და ბოლოს თვით მეშკოვმა შორი მანძილიდან მეოთხე ბურთი მოათავსა „პროგრესის“ კარში.

ტ. მანია.

სხვა შეხვედრები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „რუბინი“ (ყაზანი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:2, „გასტელო“ (უფა) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 3:1, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „დინამო“ (კიროვი) 0:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 3:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 5:0,

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყარაბახი“	33	20	4	9	47—20	44
„კოტაიკი“	33	19	6	8	57—26	44
„არაზი“	33	20	3	10	64—56	43
„გურია“	33	19	4	10	73—42	42
„ლოკომ.“	33	17	8	8	73—36	42
„დინ.“ ზ.	33	16	8	9	36—22	40
„ზენიტი“	33	14	11	8	45—30	39
„დინ.“ ს.	33	11	14	8	31—28	36
„გასტელო“	33	14	7	12	33—31	35
„დილა“	33	14	6	13	52—44	34
„ხაზარი“	32	15	3	14	41—51	33
„დინ.“ ბ.	33	14	5	14	35—42	33
„ტურბინა“	33	13	6	14	41—49	32
„შირაკი“	32	13	6	13	31—31	32
„კოლხეთი“	33	13	5	15	47—43	31
„გაზოვ.“	33	12	7	14	41—47	31
„ავტომობ.“	33	12	7	14	33—43	31
„რუბინი“	33	8	13	12	34—44	29
„დრუჟბა“	33	11	3	19	34—41	25
„ურალეცი“	33	9	7	17	28—39	25
„არაბკირი“	33	8	8	17	41—69	24
„ტორპედო“	33	8	8	17	38—55	24
„პროგრესი“	33	8	5	20	32—67	21
„დინ.“ კრ.	33	7	6	20	22—43	20

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს იმ გუნდების მონაცემები, რომლებმაც სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში გამართეს 100 და მეტი მატჩი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ფინალში	თასი
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	157	103	26	28	324—135	13	9
„დინამო“ (მოსკოვი)	139	88	20	31	282—126	10	5
„ტორპედო“ (მოსკოვი)	139	88	17	34	242—132	10	5
„დინამო“ (თბილისი)	137	80	20	37	270—163	7	2
ცსკა (მოსკოვი)	130	79	18	33	257—117	6	4
„შახტიორი“ (დონეცკი)	120	70	15	35	215—129	4	2
„დინამო“ (კიევი)	113	63	11	35	194—120	6	5
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	112	55	20	37	157—135	2	1

მ. ბოჟორაძე,
კასპის რ-ნი, სოფ. მეტეხი.

საზეიმოდ გაიხსნა

რიგაში საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი, რომელმაც ჭადრაკის მეფის გვირგვინის სამი მაძიებელი უნდა დაასახელოს.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს ტურნირის მთავარმა მსაჯმა, დიდოსტატმა მ. ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) წილისყრა ჩაატარა. მონაწილეთა წინასწარ შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები: დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) შეცვალა დიდოსტატმა ო. რომანიშინმა (სსრ კავშირი), აშშ-ს ჩემპიონი, დიდოსტატი ლ. კავალეკი — საერთაშორისო ოსტატმა ე. მედნისმა.

აი, როგორ შეივსო სატურნირო ცხრილი: 1. რ. ერნანდესი (კუბა), 2. ი. გრინფელდი (ისრაელი), 3. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), 4. ე. ვანრისდიკი (ბრაზილია), 5. ე. მედნისი (აშშ), 6. ზ. რიბლი (უნგრეთი), 7. ფ. გეორგიუ (რუმინეთი), 8. ფ. ტროისი (ბრაზილია), 9. მ. ტალი (სსრ კავშირი), 10. ე. მაილსი (ინგლისი), 11. რ. როდრიგესი (ფილიპინები), 12. ვ. ცეშკოვსკი, 13. ლ. პოლუგაევსკი, 14. ო. რომანიშინი, 15. გ. კუზმინი (ყველა — სსრ კავშირი), 16. ს. ბუაზიზი (ტუნისი), 17. ჯ. ტარიანი (აშშ), 18. ბ. ლარსენი (დანია), 19. ა. ადორიანი (უნგრეთი).

გუშინ გაიმართა I ტურის შეხვედრები.

«სპორტლოტო»

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 35-ე ტირაჟებისა, რომელიც 1 სექტემბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო 6—49“-დან:

პირველი: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ექვსი ციფრის (შეღავათიანი ბურთულით, 1 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 3205 მანეთია, ხუთისთვის (19 ბარათი)—2205, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 60 ბარათი)—79, ოთხისთვის (936 ბარათი) — 54, სამისთვის (17983 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი ციფრი აქაც ვერავინ გამოიცნო. ექვსი ციფრის (შეღავათიანი ბურთულით, 1 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 5156 მანეთია, ხუთისთვის (4 ბარათი) — 4156, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 12 ბარათი) — 100, ოთხისთვის (294 ბარათი) — 75, სამისთვის (7099 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5—36“-დან:

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (579 ბარათი) — 234, სამისთვის (21023 ბარათი) — 5.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (444 ბარათი) — 204, სამისთვის (18314 ბარათი) — 6.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07347